სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

23/05/2024

MES 8 24 0000567667

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ჩასატარებელი შეფასების პროცედურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, „2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 მაისის MES 9 24 0000528058 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის N 01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.საქართველოს ტექნიკურ უნივესიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 20 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით.
2.საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი ფორმით: მოტივაციური გასაუბრება.

3.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების პროცედურები/მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.
4.დამტკიცდეს საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი კომისიების შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად.
5.დამტკიცდეს საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სააპელაციო კომისიების შემადგენლობა №3 დანართის შესაბამისად.
6.დამტკიცდეს საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შეფასების პროცედურის ვადები №4 დანართის შესაბამისად.
7.დამტკიცდეს მოტივაციური გასაუბრების და შეფასების ფორმები №5 და № 6 დანართის შესაბამისად.
8.შეფასების კონკრეტული თარიღების და ფორმების შესახებ ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდება შეფასების თარიღამდე არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებული საკომუნიკაციო საშუალებებით.
9.შეფასებაზე დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია.
10.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგები აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
12.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
13.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
14.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
15.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ